პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 აგვისტო, შაბათი, 1988 წ.
№151 (9818) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გულიაშვილს და გადაბაძეს — მსოფლიო თასი

**ათენში** ჩატარდა მსოფლიო თასის გუნდური გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ჩვენი ქვეყნის ნაკრებში გამოდიოდა საქართველოს ორი წარმომადგენელი კობა გულიაშვილი (62 კგ) და რამაზ გადაბაძე (82 კგ).

საბჭოთა მოჭიდავეებმა ყველა შეხვედრა მოიგეს და საპატიო პრიზს დაეუფლნენ. ჩვენმა გუნდმა თანამიმდევრულად დაამარცხა: ეგვიპტის (10:0), აშშ-ს (9:1), საბერძნეთის (9:1), იაპონიის (10:0) და კუბის (6:4) კოლექტივები.

## ოლეგ სტრიჟაკოვის „ვერცხლის დუბლი"

მეორე ვერცხლის მედალი მოიპოვა ოლეგ სტრიჟაკოვმა ქვეყნის მძლეოსანთა ჩემპიონატში, რომელიც, როგორც უკვე იცით, კიევში ჩატარდა. ამჯერად მან 5-კილომეტრიან დისტანციაზე გამოიჩინა თავი — 13.41,90, ოქროს მედალი ცნობილმა კიეველმა მორბენალმა ვ. ტიშჩენკომ დაისაკუთრა — 13.41,42, ბრინჯაოსი — მოსკოველმა ფ. ხაირულინმა — 13.42,05.

სსრ კავშირის ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში

## მიხაკები — ტიტების ქვეყნიდან დაბრუნებულს



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჰოლანდიაში** ევროპის ახალგაზრდა სინქრონული ცურვის ოსტატთა პირველობაში გამარჯვებისთანავე თბილისელი ნინო მაისურაძე თბილისში დაბრუნდა და მეორე დღესვე საკავშირო ჩემპიონატში ჩაება. თანაგუნდელებმა და გულშემატკივრებმა ტიტების ქვეყნიდან დაბრუნებულს უამრავი მიხაკი მიართვეს.

ვიდრე თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატზე მოგითხრობდეთ, დაპირებისამებრ ჩვენს საუბარს შემოგთავაზებთ ნინო მაისურაძესთან, რომლისთვისაც ეს პირველი „ნამდვილი" ინტერვიუა პირველი „ნამდვილი" დიდი გამარჯვების შემდეგ.

● **ჩვენს მკითხველს უკვე მივაწოდეთ ცნობა იმის შესახებ, რომ თქვენ ჯგუფურ ასპარეზობაში თანაგუნდელებთან ერთად გაიმარჯვეთ, ამის მეტი კი არაფერი ვიცით....**

— ასპარეზობა ამსტერდამის მახლობლად, პატარა ქალაქ ედეში ჩატარდა. მასში 1971 წელსა და შემდეგ დაბადებული სპორტსმენები გამოდიოდნენ. სავალდებულო პროგრამაში, ეგრეთ წოდებულ სკოლაში მქონდა მესამე შედეგი, რაც საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო მაჩვენებელი იყო. ერთეულთა ასპარეზობაში არ გამოვსულვარ. აქ კიეველმა ოლია პილიპჩუკმა ოქროს მედალი მოიპოვა. წყვილთა ასპარეზობაში, სადაც პილიპჩუკთან ერთად გამოვდიოდი, ფინალს მიღმა დავრჩი. ამ სახეობაში, მოგეხსენებათ, ერთი ქვეყნიდან ფინალში ასპარეზობის უფლება მხოლოდ ერთ წყვილსა აქვს. შერჩევით შეჯიბრებაში ჩვენს გარდა მოსკოველ აზაროვა-გრუზდევას წყვილიც გამოდიოდა. წინასწარ ასპარეზობაში ჩვენმა წყვილებმა „სკოლის" გათვალისწინებით, ერთნაირი შედეგი აჩვენა. ფინალში გასვლის ბედი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ „სკოლაში", საერთო ჯამში, რომელ წყვილს უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა. ამ მაჩვენებლით აზაროვა-გრუზდევას „დუეტი" მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. ფინალშიც ისინი გავიდნენ და გაიმარჯვეს კიდეც. საინტერესოა, რომ წინასწარ ასპარეზობაში მე და პილიპჩუკი მათზე გაცილებით უკეთ გამოვედით. მაგრამ, ჩემმა მეწყვილემ „სკოლაში" თავის შესაძლებლობებზე ცუდად იასპარეზა და ყველაფერი ამან გადაწყვიტა.

● **კი მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, რომ თქვენ, რაკი საბჭოთა სპორტსმენთაგან სკოლაში საუკეთესო შედეგი გქონდათ, მეწყვილედ აზაროვა ან გრუზდევა გყოლოდათ?**

— რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ბოლო მომენტში წყვილთა შეცვლა გაუმართლებელი იყო.

● **ჯგუფურ ასპარეზობაში ვისთან ერთად გამოდიოდით?**

— მოსკოველ აზაროვასთან, გრუზდევასთან, პილიპჩუკთან, ტიპლიაკოვასთან, ყაზახეთის წარმომადგენელ ბაშკევასთან და კიეველ დებთან ტატიანა და ოლია სუდაკოვებთან ერთად.

● **ძნელი იყო ასპარეზობაში გამარჯვება?**

— არა, მეტოქეები არც ისეთი ძლიერები აღმოჩნდნენ, როგორც ვფიქრობდი. აქ მეორე ადგილზე საფრანგეთის, ხოლო — მესამეზე ინგლისის წარმომადგენლები გავიდნენ.

იხ. მე-3 გვ.

ტურნირის ექო

## დასაწყისი







**ჭიდაობის** ევროპის ფედერაციაში კარგა ხნის კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საერთაშორისო შეჯიბრებათა კალენდარს შეემატა ძველი სამყაროს ჩემპიონატი თავისუფალი სტილის ჭიდაობაში ჭაბუკთა (15-16 წლის) შორის, რომლის დებიუტი სულ ახლახან შედგა იზმირში (თურქეთი). ამდენად, ამ ასპარეზობაში გამარჯვებულთაგან იწყება ახალი ტურნირის ჩემპიონთა აღნუსხვა. მათ შორის არის ჩვენი რესპუბლიკის სამი სპორტსმენი: ზაზა ზოზიროვი (55 კგ), კახა ლევიძე (60 კგ) და დავით ხაბელაშვილი (70 კგ), მეოთხეს ზვიად ლოლუას (მძიმე წონა), ერთი ხელის გაწვდენაღა აკლდა ჩემპიონის ტიტულამდე, მაგრამ, როგორც მისმა ამხანაგებმა გვითხრეს, ფინალის წინა დღეს გაცივდა და ძველებურად ველარ იჭიდავა. სამი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი ევროპის ჩემპიონატში — ამ შედეგით ბევრზე ბევრი ქვეყნის ნაკრები მოიწონებდა თავს.

ჩემპიონს გამარჯვების შემდეგ ყველაზე მეტად შინ მიეჩქარება, მით უმეტეს, თუ იქ ერთგული გულშემატკივრები ეგულება. თვითონ უნდოდა ორი მოჭიდავე ძმისა და კიდევ ორი უერთგულესი ქომაგის — დედ-მამის გახარება ქუთაისში კახა ლევიძეს, მაგრამ ტელეტაიპის ფრთიანმა სიტყვამ მაინც დაასწრო და გახარებული მშობლები ჭიშკართან მილოცვით შეეგებნენ. იმ დღეს სიმღერით განთქმულ ლევიძეების ოჯახში სტუმრობას აბა რა აჯობებდა...

ჭიდაობის ყადრი კარგად იციან თბილისელი დავით ხაბელაშვილის ოჯახშიც. მოჭიდავეა დათოს პატარა ძმაც, 14 წლის გოგიტა, საქართველოს ჩემპიონი თავის ასაკში.

რა თქმა უნდა, დიდი სიხარული იყო ზაზა ზოზიროვის ოჯახში და ალბათ ზვიად ლოლუას შინაურებსაც არ უნდა დასწყვეტოდათ გული ვერცხლის მედლის გამო...

ისინი ჯერ 15-16 წლისანი არიან, ზოგი სკოლაში სწავლობს (ზოზიროვი გორის მე-6 საშუალოში, ხაბელაშვილი — თბილისის 119-ე სკოლაში), ზოგი — პროფტექნიკურში (ლევიძე ქუთაისის 33-ე სასწავლებლის მოსწავლეა). იზმირში გამოსვლა და თვითონ იზმირიც სტამბოლთან ერთად მათი ცხოვრების ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილებებია. ცოტა გაკვირვებული იყვნენ

იხ. მე-4 გვ.

**სურათებზე:** მარცხნიდან — ზაზა ზოზიროვი, კახა ლევიძე, დავით ხაბელაშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილისა და გენადი სანაიას ფოტოები.

## პირველი ეტაპის შემდეგ

**თბილისში** დამთავრდა მინი-კალათბურთელთა საკავშირო ფესტივალის პირველი ეტაპი. ჯგუფურ ტურნირებში პირველი-მეორე ადგილები დაიკავეს. პირველ ჯგუფში — „მართვემ" (თბილისი) და ვილნიუსმა, მეორეში — რსფსრ-მ და მოსკოვმა, მესამეში — „ნორჩმა დინამოელმა" (თბილისი) და უკრაინამ; მეოთხეში — ლატვიამ და ბელორუსიამ.

შედგა ორი ნახევარფინალური ჯგუფი, რომლებშიც მოხვდნენ: „მართვე", უკრაინა, მოსკოვი, ლატვია — ერთის მხრივ და ვილნიუსი, რსფსრ, „ნორჩი დინამოელი", ბელორუსია — მეორეს მხრივ. ჯგუფებში გამარჯვებულნი პირველ ადგილს გაითამაშებენ. ამავე პრინციპით გაირკვევა ყველა მომდევნო ადგილი.

VII

თვის მონაგარი

## როგორც ქარიშხლის მოლოდინში

**გასულ** თვეში დიდ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებათა ვნებათაღელვა ისე ჩაცხრა და მიწყნარდა, როგორც ბუნება ქარიშხლის მოლოდინში. ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო. აქამდე ხომ ყველა დიდი ასპარეზობა, ოფიციალურიცა და არაოფიციალურიც, ერთმანეთის მიყოლებით ტარდებოდა და თითოეული მათგანი ერთგვარად სეულის ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისსაც ემსახურებოდა. ამ შეჯიბრებებზე სპორტსმენები თავთავიანთი ქვეყნის ნაკრებ გუნდებში ადგილის დაჯავშნას ცდილობდნენ, მეორენი — უკვე მოპოვებული პოზიციების განმტკიცებას. ახლა ბევრი მათგანის ბედი გარკვეულია. ნაკრები გუნდების უმრავლესობა ფაქტობრივად უკვე დაკომპლექტებულია.

ივლისი დიდი სპორტული შეჯიბრებებით არ გამოირჩეოდა. ყოველ შემთხვევაში, იმ საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობათა რაოდენობა, რომლებშიც საქართველოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ძალზე მცირე იყო. სამაგიეროდ, წინა პლანზე წამოიწია ახალგაზრდა თუ ნორჩ სპორტსმენთა პაექრობებმა როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე.

სასიხარულოა, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა ასეთი რანგის შეჯიბრებებშიც თავი გამოიჩინეს. და მაინც, მნიშვნელოვანი სპორტული მიღწევების გახსენება ჩვენი ჭადრაკის დედოფლით გვინდა დავიწყოთ.

პრა, მაია ჩიბურდანიძეს ივლისში რაიმე გამარჯვებისთვის არ მიუღწევია, თუმცა, გასული თვის მნიშვნელოვან სპორტულ მოვლენებში მისი სახელი მაინც ფიგურირებს. 14 ივლისს ბარსელონაში მაია ჩიბურდანიძეს შარშანდელი სპორტული მიღწევებისთვის საზეიმოდ გადაეცა „ოსკარი", რომელიც საჭადრაკო ჟურნალისტების საერთაშორისო გაერთიანებამ (აიპე) მიანიჭა.

ჩვენი მოჭადრაკეებიდან გაგვახარა 15 წლის სამტრედიელმა სოფიკო ტერელაძემ. იგი პოლონეთის ქალაქ რიმანუზდრუიში 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში გამოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მისთვის პირველი საერთაშორისო შეჯიბრება იყო, მთელი ასპარეზობა დაუმარცხებლად განვლო. სოფიკო მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩა მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელ იოანა ხმიხოვსკას და მეორე ადგილი დაიკავა.

გარდაბნელმა ქეთევან კახიანმა, რომელსაც ჯერ 17 წელი არ შესრულებია, ივანო-ფრანკოვსკში გამართულ მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში ვადამდე მიაღწია გამარჯვებას და უმაღლესი ლიგის საგზურიც მოიპოვა.

მოჭადრაკეთა პირველი საკავშირო ფესტივალი პანევეჟისში, ლენინური კომკავშირის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ გუნდურ პირველობად ჩატარდა, ინდივიდუალური შედეგები ცალკე იანგარიშებოდა. ქალთა შორის საუკეთესოდ იასპარეზა თბილისელმა ნინო ფილიამ, რომელმაც, ასპარეზობის მონაწილეთაგან ერთადერთმა დაუმარცხებლად იბრძოლა.

პოლონეთის ქალაქ ნალენჩოვში მოჭადრაკეთა XXIV საერთაშორისო ფესტივალში როგორც ქალთა ისე ვაჟთა ასპარეზობაში პირველი ადგილები ჩვენმა თანამემამულეებმა გორელმა ციალა ქასოშვილმა და თბილისელმა გია გიორგაძემ დაიკავეს.

ამასთან, ქასოშვილმა საერთაშორისო ოსტატის მეორე ბალიც შეასრულა.

**გაზეთ** „სოვეტსკი პატრიოტის" პრიზზე გამართულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც მოსკოვში, მიტიშჩის სასროლეთზე გაიმართა, უჩვეულოდ ბევრი — 32 ქვეყნის ტყვიის მსროლელები გამოდიოდნენ. კვლავ შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა ნინო სალუქვაძემ, რომელმაც მცირეკალიბრიანი პისტოლეტით (მპ-5) სროლაში მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო პნევმატური იარაღით (პპ-2) ძირითად სერიაში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა (393 ქულა), მერე ფინალშიც შესანიშნავად ისროლა (99,7) და პირველობა დაისაკუთრა.

**გაგვახარა** ჩვენმა ფეხბურთელ ქალთა გუნდმა „ივერიამაც", რომელმაც ყოველკვირეული გამოცემა „სობესედნიკის" პრიზისთვის საკავშირო პირველობის ფინალიც მოიგო და საერთაშორისო ტურნირის საგზურიც მოიპოვა.

**ბალტიის** ზღვის რეგატა აფროსანთა საკმაოდ პრესტიჟული საერთაშორისო შეჯიბრებაა. აქ თბილისელმა გურამ ბიგანიშვილმა, თავის რიგელ მეზაგირე ალექსანდრე მუზიჩენკოსთან ერთად, ყველას აჯობა „ვარსკვლავის" კლასში.

იხ. მე-4 გვ.

# ევერესტის ექო

მკითხველი — გაზეთი

## ანუ კვლავ ქართველების გარეშე

**გაისად საბჭოთა მთამსვლელების მეორე ჰიმალაის ექსპედიცია ნეპალში გაემგზავრება და მწვერვალ კანჩენჯანგის ტრავერსის განხორციელებას შეეცდება. ამის შესახებ არაერთხელ იუწყებოდა როგორც საკავშირო პრესა, ისე ცენტრალური ტელევიზიაც. წერდა ჩვენი გაზეთიც. მკითხველს გავაცანით მწვერვალი კანჩენჯანგაც, მასზე ასვლების ისტორიაც და საბჭოთა მთამსვლელების გეგმებიც.**

**ახლა მკითხველები გვეკითხებიან, თუ საბჭოთა მთამსვლელთა ნაკრებში ვინ იქნება საქართველოდან. ისინი იხსენებენ ჰიმალაიში პირველ საბჭოთა ექსპედიციასაც, რომელშიც ჩვენი თანამემამულე აკაკი (ხუტა) ხერგიანიც იყო.**

**მკითხველები ისევ და ისევ გვეკითხებიან, თუ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ამსვლელთა შორის რატომ ვერ ვიხილეთ აკაკი ხერგიანი.**

**ახლა ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდებით.**

1982 წელს დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე (ჯომოლუნგმა, საგარმატხა) საბჭოთა მთამსვლელების ასვლამ დიდი გამოხმაურება პოვა მთელს მსოფლიოში. ევერესტზე ჩვენი მთამსვლელების მარშრუტი, მანამდე გავლილ „გზათაგან", ყველაზე რთული იყო. ჰიმალაის მთებში საბჭოთა ალპინისტების დებიუტმა დაამტკიცა, რომ ჩვენი მთამსვლელები ერთ-ერთი უძლიერესნი არიან მსოფლიოში.

საბჭოთა ჰიმალაელი მთამსვლელების შესახებ გადაიღეს ფილმები, გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა" გამოსცა ალბომი „ევერესტ-82". ამას გარდა, თბილისში „საბჭოთა საქართველომ" დასტამბა ამ სტრიქონების ავტორის ილუსტრირებული წიგნი „თუჯი ჩეი, ცის მბრძანებელო", ამავე თემას მიეძღვნა ალმა-ათაში გამოცემული კრებული.

ახლა ჩვენს ხელთაა კრებული „ევერესტი, სამხრეთ-დასავლეთი ქედელი",. რომელიც ასიათასიანი ტირაჟით გამოსცა „ლენიზდატმა".

წიგნის ერთ-ერთი თავი („კინოკამერა ევერესტზე") დაწერეს ვალენტინ ვენდელოვსკიმ და დიმიტრი კოვალენკომ.

ვენდელოვსკი ლენინგრადელი კინორეჟისორია, რომელმაც საბჭოთა ჰიმალაელი მთამსვლელების შესახებ ორი ფილმი გადაიღო — ერთი მოგვითხრობს როგორ ემზადებოდნენ ჩვენი ალპინისტები ევერესტზე ასასვლელად, ხოლო მეორე გვიამბობს დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე საბჭოთა მთამსვლელთა ექსპედიციის შესახებ. კოვალენკო ამ ფილმების ოპერატორი გახლავთ.

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ „ევერესტზე ასვლის" გადამღებ ჯგუფში, როგორც მოსიმაღლე ოპერატორი, იყო თბილისელი აკაკი ხერგიანი.

იმაზე, თუ რა წვლილი შეიტანა ხერგიანმა საბჭოთა მთამსვლელთა წარმატებაში, აგრეთვე ზემოხსენებული დოკუმენტური ფილმის გადაღებაში, თავის დროზე წაიკითხავდით „ლელოს" ფურცლებზე.

ხერგიანის შესახებ ვენდელოვსკი და კოვალენკოც გვიამბობენ. ისინი სხვა ამბებთან ერთად წერენ იმის შესახებაც, თუ რამ შეუშალა ხელი ხერგიანს, რომ ევერესტის მწვერვალზეც გადაეღო ფილმი. ვფიქრობ, ვენდელოვსკისა და კოვალენკოს ნაამბობი ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს. ამიტომ გთავაზობთ ნაწყვეტს თავიდან „კინოკამერა ევერესტზე".

**„ქუმბუს ყინულვარდნილის მისადგომებთან გულშემოყრილნი და გაცეცხლებულნი ვიყავით, როცა ევგენი ტამმა (ექსპედიციის ხელმძღვანელი. ა. გ.) მიიღო გადაწყვეტილება — ზევით გაეგზავნა მოსიმაღლე კინოოპერატორი ხუტა ხერგიანი, ოღონდ კინოკამერის გარეშე, ტვირთით, როგორც მებარგული... ამან, რა თქმა უნდა, ხუტა გააცეცხლა, განსაკუთრებით ექსპედიციის დასასრულს, როცა მთამსვლელები ქვემოთ ეშვებოდნენ და თან ამბავი ჩამოჰქონდათ, ფერდობებზე აზიდული პროდუქტებისა და ჟანგბადის ბალონების ნახევარი ხელუხლებელი დარჩა!.. არადა, იმავე ხუტა ხერგიანს რამდენი რამ შეეძლო აღებეჭდა ფირზე, ფოტოებიც რომ გადაეღო და უბრალო მებარგულად არ გაეგზავნათ. იგი, არსებითად, კინოჯგუფის მეხუთე შერპად გადააქციეს: ოთხს სტუდია აფინანსებდა, მაგრამ კინოჯგუფისთვის მათი მუშაობა მხოლოდ ერთხელ ვნახეთ, როცა ყველაფერი მთავარი უკან დარჩა და მოსიმაღლე შერპები ბანაკში ისვენებდნენ, ან მეზობელ სოფლებში დადიოდნენ სტუმრად...**

**იმავე დროს ხუტა ხერგიანს ბევრი რამ აუცილებელი აკლდა. არ ჰქონდა მორგებული და გასინჯული საჭურველი, სამოსი, ჟანგბადის აპარატურის აღჭურვილობა. ამაზე იქნებ არც გვეთქვა რამე, ყოველივე ზემოთქმულზე დამოკიდებული რომ არ ყოფილიყო ბედი თავისებური, ქედმოუხრელი და ამაყი, მშვენიერი მთამსვლელისა, ამასთან ძალზე მიუხაფარი ადამიანისა.**

**ხუტამ ბრწყინვალე კადრები გადაიღო. დაუვიწყარია ეროკ ილინსკის სახე. მსხვილ პლანში წარმოგვიდგა გამოჩენილი მთამსვლელი, რომელიც ჩვენს თვალწინ უკანასკნელ ძალებს ალევს მწვერვალს. არ ჰყოფნის ჰაერი; პირი ფართოდ გაუღია; ქარი დამწლევ თოკზე მიბმულ ხელთათმანებს გლეჯს; ფეხებს გაჭირვებით მიათრევს. მაგრამ მაინც მიზნისკენ მიიწევს. და აი, იგი ჩვენს წინაშეა — ძალაგამოცლილი და ბუმბერაზი.**

**ხუტამ გადაიღო შერპები, რომლებიც ევერესტის კედელმა შეაჩერა, ის იღებდა ყინულვარდნილზე, როცა ქარბუქი მძვინვარებდა, იღებდა წვეტიან კლდოვან ქარაფებზე. მან ის-ის იყო დაიწყო საქმე... ხუტა წუნარად და ბეჯითად მუშაობდა, მისი უდიდესი მორალური და ფიზიკური სიმტკიცის შედეგია ბევრი უნიკალური კადრი. მუდამ სინანულით გავიხსენებთ, რომ ევგენი ტამის გადაწყვეტილება ევერესტზე ხუტასთვის ასე უიღბლო გამოდგა.**

**ექსპედიციამ სამუდამოდ დაგვამეგობრა. მის ყველა წევრს ერთმანეთთან კარგი, კეთილი დამოკიდებულება ჰქონდა.**

**მაგრამ ევერესტის ექსპედიცია არასოდეს ყოფილა მხოლოდ მიმზიდველი მოგზაურობა ნეპალსა და ჰიმალაის მთებში. ეს იყო მძიმე შრომა, ხიფათი, იდუმალება.**

**მთელი პასუხისმგებლობა ევგენი ტამს ეკისრებოდა... ეს გახლდათ თავისებური, მტკიცე ნებისყოფის და, დაე გვაპატიოს, ზოგჯერ ჯიუტი კაცი. რამდენიც უნდა გვეცადა არც ფირს, არც კინოაპარატს და არც სხვა რამ ამგვარს არ თვლიდა სასარგებლო წონად, რომელიც მთამსვლელებს მიჰქონდათ: „ბიჭებო, გადაღება მხოლოდ თქვენი პირადი საქმეა".**

გადაღება რომ მხოლოდ „ბიჭების პირადი საქმე" არ ყოფილა, ტამი ამაში დარწმუნდა, როცა ეკრანებზე ვენდელოვსკის ფილმი გამოვიდა. როცა ამ ფილმს უყურებდა, ტამს ცრემლი მოადგა.

მაყურებელს ეს ფილმი მოეწონა და ამაში უდიდესი წვლილი აკაკი ხერგიანსაც მიუძღვის.

ხერგიანს დიდი წვლილი მიუძღვის ექსპედიციის წარმატებით დამთავრებაშიც. იგი მარშრუტის დასამუშავებლად და საჭურველის ასაზიდად ყველაზე ბევრჯერ — 5-ჯერ ავიდა ევერესტის კალთებზე, აქედან ორჯერ — 7800 მეტრის სიმაღლეზე.

სამწუხაროდ, იგი მოიერიშეთა ძირითად შემადგენლობაში არ იყო (თუმცა, იგი თავისი მონაცემებით უძლიერესთა ხუთეულში იყო) და მწვერვალზე ასვლის შესაძლებლობა არ მისცეს.

ის, რომ ხერგიანი ევერესტზე ამსვლელთა შორის არ იყო, ეს, ძალიან დასანანია — საბჭოთა ალპინიზმის აკვანი ხომ საქართველოში დაირწა. ის პირველამსვლელები სწორედ ქართველები, თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლები იყვნენ.

მას შემდეგ საქართველოს მთამსვლელებმა საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში არაერთი სასახელო ფურცელი ჩაწერეს. მათ საკავშირო ჩემპიონატებში უამრავი „ოქრო-ვერცხლი" მოიპოვეს, მთელს ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაუყარეს კედლოვან ასვლებს, ტრავერსებს... ევერესტზე კი...

ხერგიანის დამსახურება ევერესტის ექსპედიციის წარმატებით დაგვირგვინებაში დააფასეს კიდეც. მას მიენიჭა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის და სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებები, დაჯილდოვდა მედლით „შრომითი მამაცობისთვის".

ჩვენ როგორღა შევაფასეთ ხერგიანის ეს დამსახურება? მას, ექსპედიციის შემდეგ მრავალი შეხვედრა მოუწყეს რესპუბლიკის მშრომელებმა, მოსწავლეებმა, სტუდენტებმა, ოღონდ ამ შეხვედრების ორგანიზებაში არავითარი წვლილი არ მიუძღვის საქართველოს ალპიურ კლუბსა და სხვა ორგანიზაციებს მათ აზრადაც არ მოსვლიათ, რომ მთამსვლელთა აუდიტორია შეეკრიბათ და მის წინაშე ხერგიანს ერთგვარი ანგარიში ჩაებარებინა, ეამბობინებინათ ექსპედიციის შესახებ, რომელსაც ნეპალში გადაღებული სლაიდებიც დაამშვენებდა. პირიქით, ბევრი ჩვენი მთამსვლელი ხერგიანის წვლილის დამცირებას შეეცადა.

რა ვუწოდოთ მათს ამგვარ საქციელს?

დროა, დიდი ხანია დროა, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ.

დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ასვლიდან ექვსი წელი მიიწურა. გაისად კანჩენჯანგას რიგია. ეს ჩვენი მთამსვლელებისთვის ევერესტის ექსპედიციის დამთავრებისთანავე ცნობილი იყო. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ნაკრების წევრის მომზადება, თანაც არა ერთისა და ორისა, ძნელი არ იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, თავი არავის შეუწუხებია.

დიახ, ჰიმალაის მეორე ექსპედიციაში ერთ ქართველ მთამსვლელსაც ვერ ვიხილავთ.

მაგრამ ჰიმალაის ექსპედიციას ვინ ჩივის, როცა ჩვენი მთამსვლელები საკავშირო ჩემპიონატებში ველარ მონაწილეობენ. მათ საამისოდ გუნდიც კი ვერ შეუგროვებიათ.

სამაგიეროდ, ისინი მეორეხარისხოვან ასვლებს ისე წარმოგვიდგენენ, როგორც რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებას. ასე იყო, მაგალითად, შარშან, როცა ლენინის პიკზე ჩვენი მთამსვლელები ავიდნენ. მაშინ საქართველოს ალპიური კლუბის თანამშრომელმა დენეზა გოზალიშვილმა რესპუბლიკურ პრესაში უმალვე გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ოცი წლის შემდეგ", რომელშიც ქართული ალპინიზმის ისტორიის ცნობილი ფაქტები დაამახინჯა და ის ასვლა მნიშვნელოვან მოვლენად წარმოგვიდგინა. არადა, 1978 წლის მონაცემებით კომუნიზმისა და ლენინის პიკებზე 5000-ზე მეტი მთამსვლელი ავიდა, აქედან უმეტესობა — ლენინის პიკზე.

ისიც უნდა ითქვას, რომ ლენინის პიკზე მრავალრიცხოვანი მასობრივი ალპინიადები ტარდება და ერთ ასვლაზე, მხოლოდ ერთ ასვლაზე, ასობით კაცი ადის.

ალპიური კლუბი და დენეზა გოზალიშვილი სხვა გაზეთის მკითხველის მოტყუებით არ დაკმაყოფილდნენ და „ლელოშიც" არასწორი ინფორმაცია მოგვაწოდეს, **თითქოს მაშინ ჩვენი ალპინისტები** საკავშირო ჩემპიონატში ჩაებნენო. მერე, როცა სიმართლე გაირკვა, გოზალიშვილმა „ლელოში" კვლავ არასწორი ინფორმაცია მოგვაწოდა, წერდა, რომ თითქოს საქართველოში არ მოიძებნება 9 კაცზე მეტი მთამსვლელი, რომელსაც ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება აქვსო (თუმცა, 9 კაცი საკმარისზე მეტიც იყო! ა. გ.). და ეს იმ დროს, როცა ჩვენ კიდევ გვყავდნ მთამსვლელები, თანაც იმათზე ბევრად ძლიერები, რომლებიც შარშან ლენინის პიკზე იყვნენ. გავიხსენოთ თუნდაც იგივე ხერგიანი, რომელსაც... რესპუბლიკის ნაკრებში არ იწვევენ, აქაოდა... ასეთი თხოვნით მას ჩვენთვის არ მოუმართავსო.

და ასე გრძელდება წლიდან წლამდე. საქართველოში ალპინიზმი **ფაქტობრივად** აღარ არსებობს, თუმცა, მთამსვლელები კი გვყავნან. ეს დაადასტურა წლევანდელმა სეზონმა, როცა ჩვენმა ორმა გუნდმა საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობა სცადა, მაგრამ წლების განმავლობაში უმოქმედობამ თავისი გაიტანა. ჩვენმა გუნდმა ეგრეთწოდებულ სკოლაში გამოცდები ვერ ჩააბარა, თვრამეტ ნაკრებს შორის მეჩვიდმეტე ადგილი დაიკავა და ჩემპიონატში არ დაუშვეს. ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება ვერც მეორე გუნდმა მოიპოვა.

ქართული ალპინიზმის დაკნინებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა 1984 წელს უშბაზე დატრიალებულმა ტრაგედიამ. მაშინ ამ მწვერვალიდან დაშვებისას ექვსი ჩვენი მთამსვლელი, მათ შორის სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები, დაიღუპა.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს ტრაგედია არ მოხდებოდა, იმთავითვე ავანტიურისტულ გადაწყვეტილებაზე უარი რომ ეთქვათ. უშბაზე მოიერიშე ერთი ძლიერი ჯგუფი დაშალეს, ძალები დაქსაქსეს და ორი გუნდით შეუტიეს მწვერვალს. და ეს მაშინ, როცა უშბა ერთ-ერთ ურთულეს მწვერვალად ითვლება და თანაც ასვლა ხდებოდა ზამთარში, რისი გამოცდილებაც ჩვენს ალპინისტებს არ ჰქონდათ.

როცა ჩვენთან ალპინიზმის ჩამორჩენაზე ჩამოვარდება სიტყვა, უშბის ტრაგედიას, რატომღაც, ბევრი ივიწყებს.

და მაინც, იმ ტრაგედიის შემდეგაც შეიძლებოდა არაერთი საკავშირო ნაკრების წევრი მთამსვლელის გაზრდა, მაგრამ...

აი, ყოველივე ამის გამოა, რომ კანჩენჯანგას საბჭოთა მთამსვლელები ქართველი ალპინისტების გარეშე შეუტევენ.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

---

**წერილი არ დაბეჭდილა, ზომები მიღებულა**

## აღდგენილია ფეხბურთის მოედანი

ამას წინათ, ზესტაფონის რაიონის სოფელ რკვიიდან ბარათი მივიღეთ. გვატყობინებდნენ, რომ მწყობრიდან გამოვიდა ფეხბურთის მოედანი და საჭიროა მისი აღდგენა. წერილი რეაგირებისათვის რაიონში გადაიგზავნა. საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომიდან გვაცნობეს:

**საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომი სოფელ რკვიიდან გამოგზავნილი კოლექტიური განცხადების შესახებ გაცნობებთ შემდეგს: ფაქტები, რომელიც აღნიშნულია განცხადებაში, ძირითადად სინამდვილეს შეეფერება. 1987 წლის იანვარში წყალდიდობის შედეგად სოფელ რკვიაში მრავალი ობიექტი დაზიანდა, რომლებიც დღეისათვის აღდგენილია, მათ შორის ფეხბურთის მოედანიც.**

**რაც შეეხება კიდულ საცალფეხო ხიდს, იგი უკანასკნელ ათწლეულში მოხული ყველა წყალდიდობის შედეგად ზიანდება, მისი აღდგენისათვის საჭიროა სხვადასხვა სპეციფიკური სამუშაოების ჩატარება. ხიდი წლის ბოლომდე აღდგება, რაზედაც დამატებით გაცნობებთ.**

**ჯემალ გორგოძე,**

**საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი.**

---

**პროფკავშირების პირველობაზე**

## შკეთ მოვემზადოთ....

**ვანში** ჩატარდა რესპუბლიკის პროკავშირთა სპორტსაზოგადოების პირველობა ჭადრაკში 1972 და მომდევნო წლებში დაბადებულ გოგონათა შორის.

ტურნირში მონაწილეობდა ცამეტი გოგონა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭომ რატომღაც ვერ უზრუნველყო თავისი მოჭადრაკეების შეჯიბრებაზე გაგზავნა.

შეჯიბრება კარგად წარმართა საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლის მოსწავლემ, პირველთანრიგოსანმა ელენე ფარეშიშვილმა, რომელიც თავიდანვე დაწინაურდა და 10 ტურის შემდეგ 10 ქულა ჰქონდა. უკანასკნელი ორი პარტია კი ყაიმით დაამთავრა და 12 შეხვედრიდან 11 ქულით I ადგილი დაიკავა. ამ გამარჯვებით ე. ფარეშიშვილმა მოიპოვა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობის საგზური. ეს შეჯიბრება ცოტა ხანში დაიწყება ბალტიისპირეთში.

II-III ადგილები გაიყვეს პირველთანრიგოსნებმა — წულუკიძის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლემ ინდირა წიქწიძემ და ვანის რაიონის სოფელ მთისძირის საშუალო სკოლის მოსწავლემ შორენა კილაძემ, რომლებმაც 12-12 შეხვედრიდან 9-9 ქულა მოაგროვეს, IV ადგილი წილად ხვდა საგარეჯოელ პირველთანრიგოსან ნინო ოთიაშვილს (8 ქულა). V-VI ადგილები გაიყვეს პირველთანრიგოსნებმა, ქუთაისელმა ქანეტა გვენეტაძემ და ვანელმა მზია ცერცვაძემ (7-7 ქულა). თითოეულ მათგანს, როგორც ჩანს, სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი საჭადრაკო ხელოვნების დაუფლება, მაგრამ ჯერჯერობით თამაშის გარკვეული ხარვეზები აქვთ: სტრატეგიული უპირატესობის ცუდი რეალიზაცია, პოზიციური თამაშისადმი გადაჭარბებული მისწრაფება, უხეში ტაქტიკური შეცდომები და სხვა. თუ ეს გოგონები სერიოზულად აპირებენ ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქალების ტრადიციების გაგრძელებას, მათ კიდევ უფრო მონდომებით უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე, თამაშის სტილის შემდგომ სრულყოფაზე.

**ზურაბ ჩაჩუა,**

**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, თბილისის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.**

---

**როგორ ვისვენებთ?**

## ლაშქრობა ხვამლზე

„წყალტუბო — ოყურეში — ხვამლი — წყალტუბო", ასეთი იყო 50-კილომეტრიანი ტურისტული ლაშქრობის მარშრუტი, რომელიც პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების წყალტუბოს საქალაქო საბჭომ მოაწყო.

ლაშქრობაში მონაწილეობდნენ ქალაქის ზონის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები.

განსაკუთრებით საინტერესო იყო სოფელ ოყურეშის მთა-გორებზე გამავალი ბილიკების ავლით ხვამლის დალაშქვრა, რომელიც ზღვის დონიდან 2002 მეტრზეა.

მოლაშქრეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ხვამლის გამოქვაბული და ეკლესია, მათვე მთის უმაღლეს წერტილზე ლაშქრობის მონაწილეთა სია დატოვეს და ვიწრო ბილიკით სოფელ ოყურეშში დაბრუნდნენ.

**ჯუსტან კუხალაშვილი,**

**პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წყალტუბოს საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, ლაშქრობის მონაწილე.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

4 და 5 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-17 ტურის მატჩები.

**თბილისის** დინამოელებმა თავიანთ მინდორზე ოდესის „ჩერნომორეცი" მიიღეს. თვით ეს მატჩი, თავისთავად, დიდ ინტერესს იწვევდა, მაგრამ ახლა არ შეიძლება არც ერთი თამაშის განხილვა იმ საერთო ანტურაჟის გარეშე, რომელიც ახლა თბილისის „დინამოს" გარშემოა შექმნილი. უპირველესად, ჩვენ გვაინტერესებს ცხრილში ახლო მეზობლების ალმა-ათის „კაირატის", ბაქოს „ნეფთჩის", დონეცკის „შახტიორისა" და მინსკის „დინამოს" შეხვედრათა შედეგები.

განვლილ ტურში ბაქოელმა ფეხბურთელებმა შინ ქულა დაკარგეს „დნეპრთან" შეხვედრაში, „კაირატმა" მარცხი იწვნია მინსკში, ხოლო „შახტიორმა" გუშინ ითამაშა მოსკოვის „დინამოსთან". თბილისის „დინამოს" ზედიზედ მეორე გამარჯვებასთან დაკავშირებით საერთო დამაკმაყოფილებელი ვითარება იქმნება და, თუმცა, ჯერ ადრეა ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენმა გუნდმა საბოლოოდ დააღწია თავი სახიფათო ზონას, მაინც შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დინამოელები გაცილებით უკეთ თამაშობენ, ვიდრე უწინ, იგრძნობა მათი მობილიზება, სწრაფვა გამარჯვებისაკენ, კოლექტიურობა, გაუმჯობესდა გუნდის ტაქტიკური გეგმა, ურთიერთობანი ცალკეულ რგოლებს შორის, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ამ მცირე ხნის წინ ასე აშკარად აკლდა ჩვენს გუნდს.

მატჩი ოდესის „ჩერნომორეცთან" უძნელესი იმითაც იყო ჩვენი გუნდისთვის ამ ეტაპზე, რომ ოდესელები სატურნირო ცხრილის შუაგულში იმყოფებიან, მაგრამ საკმარისი იყო მცირეოდენი წარმატება და ისინი პირველ ნახევარში გადაინაცვლებდნენ, ამიტომაც, „ჩერნომორეცი" ყველაფერს გააკეთებდა გამარჯვებისთვის.

ამრიგად, საკავშირო ჩემპიონატის მე-17 ტურში, საინტერესო მატჩი თბილისის სტადიონზე:

### „დინამო" (თბილისი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 2:0 (2:0)

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 4 აგვისტო.**

**„დინამო": გაბელია, კეტაშვილი, თეთრაძე (გოგიჩაიშვილი, 29), ჩედია, არზიანი, რევიშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა, გურული, მეხსი (ცვეიბა, 50).**

**„ჩერნომორეცი": ქეკიუ, კუზნეცოვი, სპიცინი, იშჩაკი, პლოსკინა, ტრეტიაკი, ჟარკოვი, შჩერბაკოვი (გუშჩინი, 70), ნაკონეჩნი, ზირჩენკო, პერეპადენკო (გუხევი, 46).**

**მსაჯი ა. გორინი (კიშინიოვი).**

თამაში იმით დაიწყო, რომ ოდესელთა მარცხენა გარემარბი პერეპადენკო გაექცა დინამოელთა მცველებს და ძლიერად დაარტყა კარში. ბურთი მიზანს ასცდა და ეს იყო მეტად სახიფათო მომენტი, რომელსაც შეეძლო გარკვეული დაღი დაემჩნია მთელი თამაშისთვის, ვინაიდან პირველ წუთებზე გაშვებულ ბურთს დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ მატჩებში.

მასპინძლებმა სასწრაფოდ გადაიტანეს თამაში წინ, მეტოქის ნახევარზე, მე-10 წუთზე სვანაძემ ასეთივე სახიფათო მომენტი შექმნა ქეკიუს კართან და, თუმცა, ეს ბურთიც მიზანს ასცდა, ცხადი იყო, რომ უპირატესობა მყარად ეპყრათ მასპინძლებს. ისინი უტევდნენ მთელი გუნდით, გაშლილად, კომბინაციურად. ასეთი კოლექტიური შეტევა განავითარეს მათ მე-16 წუთზე, როცა „ჩერნომორეცის" საჯარიმო მოედანზე რამდენიმე მოიერიშე ფეხბურთელი შეიჭრა, ეს სწრაფი შეტევა ზუსტი დარტყმით დაამთავრა ცაავამ — 1:0.

ეს მანევრი მასპინძლებმა რამდენიმეჯერ გაიმეორეს, ისინი კარგად იყენებდნენ ოდესელთა მარჯვენა მცველის კუზნეცოვის პოზიციურ შეცდომას, რომელიც ხშირად ტოვებდა თავის ადგილს, 25-ე წუთზე ცენტრში წამოწყებული შეტევის შემდეგ ბურთი მარცხენა ფრთაზე მიიღო რევიშვილმა, იგი წამით დაუცველი აღმოჩნდა და ეს საკმარისი აღმოჩნდა ბურთის მიღების, დამუშავებისა და დარტყმისთვის. ოდესელებს კვლავ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან — 2:0.

ორი გოლი პირველ ტაიმში საკმარისი უპირატესობაა საბოლოო გამარჯვების მისაღწევად, მაგრამ ეს ბურთები გავიდა უაღრესად დაძაბული ბრძოლის ვითარებაში, სტუმრები ყველაფერს აკეთებდნენ მდგომარეობის გამოსასწორებლად და „დინამოს" მეკარე გაბელიას არაერთხელ მოუხდა უძნელესი ბურთების მოგერიება. შესვენებამდეც და მეორე ტაიმშიც მან თავისი გუნდი რამდენიმეჯერ გადაარჩინა აშკარა ხიფათს.

მეორე ტაიმში ოდესელებმა საგრძნობლად გააძლიერეს თამაში, მთელ რიგ პერიოდებში მათ უპირატესობაც ჰქონდათ და აქ, საჭიროა ითქვას, რომ დინამოელებმა კვლავ გამოიჩინეს მაღალი საბრძოლო თვისებები ოდესელთა იერიშების მოსაგერიებლად. დაცვისა და ნახევარდაცვის მოთამაშეებს დიდი დატვირთვა აწვათ. ეს არ იყო იოლი მატჩი და იოლი გამარჯვება, თბილისის „დინამოს" კვლავ მთელი ძალების მობილიზება დაჭირდა, რათა ბოლომდე მიეყვანა გამარჯვება და ეს მნიშვნელოვანი მატჩიც მოიგო.

ამრიგად, 4 ქულა ბოლო ორ მატჩში სამკარისი შენაძენია ჩვენი გუნდისთვის. მაგრამ სწორი არ იქნება თბილისის „დინამოს" ძნელი პრობლემები ამით გადაჭრილად ჩავთვალოთ. ამჟამად შექმნილი მდგომარეობის მიხედვით, პირველ ყოვლისა, ეს თვით დინამოელებმა უნდა იცოდნენ, ვინაიდან ის შტურმი ქულების მოსაპოვებლად, რომელიც მოსკოვის „სპარტაკთან" დავიწყეთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შენელდეს. დინამოელებს ახლა ზედიზედ 3 მატჩი აქვთ ჩასატარებელი მეტოქეთა მინდვრებზე. 9 აგვისტოს, მე-18 ტურში თბილისის „დინამო" თავის ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტს დონეცკის „შახტიორს" ხვდება, შემდეგ, 13 აგვისტოს დნეპროპეტროვსკში მიემგზავრება „დნეპრთან" სათამაშოდ, ხოლო მე-20 ტურის მატჩს 17 აგვისტოს ჩაატარებს მოსკოვის „დინამოსთან". საკავშირო ჩემპიონატის სამი შეხვედრა სტუმრად იოლი საქმე არაა. ახლანდელ 12 ქულას კიდევ ესაჭიროება „გამაგრება", კვლავაც თავგამოდებით იბრძოლოს, რათა 21-ე ტურისთვის, როცა შინ ვღებულობთ ბაქოს „ნეფთჩის", აუტსაიდერთა რიგებიდან თავის დაღწევის საიმედო გარანტია შეიქმნას.

ჩვენი გუნდის გულშემატკივრებმა იციან, რომ თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში საკმარისად ცვლილებები, კერძოდ, განვლილ ურთულეს მატჩში „ჩერნომორეცთან" საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაიმსახურა კახა გოგიჩაიშვილმა. ბევრ გულშემატკივარს აინტერესებს იმ ახალგაზრდა ფეხბურთელის ვინაობა. კ. გოგიჩაიშვილი დაიბადა 1968 წელს, თამაშობდა თბილისის ნორჩ ფეხბურთელთა სპეციალიზებულ სკოლებში, მერე — თბილისის „შევარდენი"-სპი-ში, შემდეგ იგი მიიწვიეს ლანჩხუთის „გურიაში", სადაც ოსტატთა გუნდების შეხვედრათა გამოცდილება მიიღო, ახლა კი წარმატებით გამოდის თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში.



ს უ რ ა თ ზ ე: დინამოელი კ. გოგიჩაიშვილი შეტევის დროს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

### გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 5 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 18 | 9 | 8 | 1 | 24-12 | 26 |
| „დინამო" (კიევი) | 16 | 10 | 5 | 1 | 24-7 | 25 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 17 | 8 | 5 | 4 | 27-21 | 21 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 17 | 7 | 7 | 3 | 22-15 | 21 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 17 | 7 | 7 | 3 | 23-17 | 21 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 17 | 7 | 6 | 4 | 20-17 | 20 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 17 | 6 | 6 | 5 | 20-17 | 18 |
| „არარატი" (ერევანი) | 17 | 6 | 5 | 6 | 12-14 | 17 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 17 | 7 | 2 | 8 | 13-18 | 16 |
| „დინამო" (მინსკი) | 17 | 4 | 7 | 6 | 16-17 | 15 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 18 | 4 | 7 | 7 | 16-23 | 15 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 17 | 5 | 4 | 8 | 18-22 | 14 |
| „დინამო" (თბილისი) | 16 | 6 | 0 | 10 | 19-24 | 12 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 17 | 4 | 3 | 10 | 18-27 | 11 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 15 | 3 | 5 | 7 | 11-16 | 11 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 17 | 3 | 1 | 13 | 13-29 | 7 |

**„ლელოს" ფეხბურთის განყოფილება.**

**მოგვყავს მე-17 ტურის შეხვედრათა შედეგები:**

**„დინამო" მნ. — „კაირატი" 3:1**
**„ჟალგირისი" — „ტორპედო" 2:2**
**„ლოკომოტივი" — „დინამო" კ. 1:1**
**„ზენიტი" — „მეტალისტი" 2:1**
**„არარატი" — „სპარტაკი" 1:0**
**„ნეფთჩი" — „დნეპრი" 2:2**

**სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში**

## I ლიგა

**3 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 23-ე ტურის მატჩები.**

საქართველოს გუნდების შეხვედრათა შესახებ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით. ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ორჯონიკიძის „სპარტაკი", მეტოქის კარში ორივე ბურთი გაიტანა ლანჩხუთელთა ნახევარმცველმა ჟორდანიამ.

განსაკუთრებით დაძაბული იყო მატჩი ბათუმში, სადაც ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს თავიანთი სტავროპოლელი თანაკლუბელები, რომლებიც გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე იმყოფებიან. ბათუმელებმა მაღალ დონეზე, დიდი მონდომებით ჩაატარეს მატჩი და დამსახურებულად გაიმარჯვეს — 1:0. გოლი 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა დურდიაძემ.

**ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები:** „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:1, „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 2:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — ცსკა 2:1, „კოლოსი" (ნიკოპოლი) — „კუზბასი" (კემეროვო) 1:1, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „ზვეზდა" (პერმი) 0:0, „პამირი" (დუშანბე) — „გეოლოგი" (ტიუმენი) 1:0, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 0:7, „კუბანი" (კრასნოდარი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:2.

**ლიგის** მორიგი შეხვედრები გაიმართება დღეს. დიდ ინტერესს იწვევს მატჩი ლანჩხუთში, სადაც ერთმანეთს ხვდებიან „გურია" და სტავროპოლის „დინამო". ბათუმში ადგილობრივი დინამოელები მიიღებენ ორჯონიკიძის „სპარტაკს".

**I ლიგა**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 6 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პამირი" | 22 | 15 | 5 | 2 | 44-20 | 35 |
| „დინამო" სტ. | 22 | 12 | 7 | 3 | 33-16 | 31 |
| ასკ რ. | 22 | 11 | 5 | 6 | 31-27 | 27 |
| „როტორი" | 22 | 12 | 2 | 8 | 40-23 | 26 |
| ცსკა | 22 | 10 | 6 | 6 | 29-19 | 26 |
| „გურია" | 22 | 11 | 3 | 8 | 34-25 | 25 |
| „როსტსელ." | 22 | 10 | 5 | 7 | 34-31 | 25 |
| „ფახთაქორი" | 22 | 8 | 8 | 6 | 27-20 | 24 |
| „გეოლოგი" | 22 | 10 | 3 | 9 | 24-30 | 23 |
| ასკ „კარპ." | 21 | 9 | 4 | 8 | 31-19 | 22 |
| „კოტაიკი" | 22 | 9 | 3 | 10 | 28-44 | 21 |
| „ტავრია" | 22 | 6 | 9 | 7 | 20-19 | 21 |
| „სპარტაკი" | 22 | 8 | 4 | 10 | 35-38 | 20 |
| „დაუგავა" | 21 | 7 | 6 | 8 | 27-26 | 20 |
| „შინიკი" | 22 | 7 | 6 | 9 | 20-24 | 20 |
| „კუზბასი" | 22 | 6 | 8 | 8 | 16-23 | 20 |
| „ზარია" | 22 | 6 | 6 | 10 | 28-32 | 18 |
| „კოლოსი" | 22 | 6 | 6 | 10 | 17-25 | 18 |
| „კუბანი" | 22 | 6 | 4 | 12 | 22-34 | 16 |
| „მეტალურგი" | 22 | 5 | 6 | 11 | 15-27 | 16 |
| „დინამო" ბ. | 22 | 6 | 2 | 14 | 17-28 | 14 |
| „ზვეზდა" | 22 | 3 | 8 | 11 | 17-39 | 14 |

# მიხაკები—ტიტების ქვეყნიდან დაბრუნებულს

დასასრული

● **მოზრდილთა შეჯიბრებებში, საერთაშორისო სარბიელზე, ჩვენს სპორტსმენებს ჯერ კიდევ მოსწავლეებად მიიჩნევენ. თუმცა, ბოლო წლებში ისინიც საპატიო კვარცხლბეკზე ადგილს იკავებენ, განსაკუთრებით კარგად სწორედ ჯგუფურ ასპარეზობებში გამოდიან, ახლა კი, ახალგაზრდების შეჯიბრებებში, ყველა გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ხვალ თუ არა, ზეგ თქვენი თაობა უფროსთა პაექრობებშიც ისე იასპარეზებს, როგორც ეს ახლა ედეში იყო?**

— ძნელი სათქმელია. საქმე ისაა, რომ უცხოეთში ბავშვები ჩვენზე მოგვიანებით იწყებენ ვარჯიშს. შესაბამისად, ჩვენზე გვიან ოსტატდებიან, მაგრამ ისინი „დანაკარგს" მერე და მერე ინაზღაურებენ, ინაზღაურებენ და მერე როგორ. თუმცა, მომავალში, ვინ იცის, სინქრონულ ცურვაში მოდის კანონმდებლები იქნებ სწორედ საბჭოთა სპორტსმენები გახდნენ.

ახლა თბილისში მიმდინარე ჩემპიონატის შესახებ. ეს შეჯიბრება სეულის ოლიმპიური ნაკრები გუნდის დასაკომპლექტებლად, როგორც საკავშირო სპორტსახკომის ცურვის სამმართველოს უფროსის მოადგილემ იგორ ბუგაეცმა გვითხრა, ერთ-ერთი ეტაპია. მართალია, ეს ჩემპიონატი სეულის სტარტების წინ უკანასკნელი ასპარეზობაა, მაგრამ ნაკრებში მოხვდებიან ისინი, რომლებსაც ადრიან გაზაფხულიდან მოყოლებული ყველაზე სტაბილური შედეგები ჰქონდათ. ოლიმპიურ გუნდში სულ სამი ადგილია. ბუგაეცის თქმით, თბილისელ ხრისტინა ფალასანიდის ნაკრებში 90 პროცენტით გარანტირებული აქვს ადგილი.

ფალასანიდიმ სავალდებულო პროგრამით ჩინებულად იასპარეზა და ყველას აჯობა — 92,66 ქულა. მეორე იყო მარია ჩერნიაევა — 92,29, ხოლო მესამე — ტატიანა ტიტოვა (ორივე — მოსკოვი) — 20,13.

გუშინ დილით გაიმართა წინასწარი ასპარეზობა ერთეულთა შორის, სადაც საუკეთესო შედეგი კვლავ ფალასანიდის ჰქონდა — 187,50 ქულა, მეორე იყო ელექტროსტალელი ვერა არტიომოვა — 180,35, ხოლო მესამე — მოსკოველი განა მაქსიმოვა — 177,06.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან ფალასანიდის გარდა ფინალში გავიდა თბილისელი ლელა მამიაური, რომელსაც მეხუთე შედეგი ჰქონდა — 170,66.

**გუშინვე, გვიან საღამოს, გაიმართა ფინალური შეჯიბრებაც. კვლავ ბრწყინვალედ იასპარეზა ფალასანიდიმ, რომელმაც ამჯერად 188,80 ქულა მოაგროვა და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე იყო არტიომოვა (181,44), მესამე — მაქსიმოვა (175,51). ჩვენმა მეორე ფინალისტმა მამიაურმა მეხუთე ადგილი (171,90) დაიკავა.**

**ავთანდილ ჭუვიჭელი.**

# დასაწყისი

დასასრული

იმ ყურადღებით, რაც შეჯიბრებაზე გამოუჩენიათ მასპინძლებს „გურჯების" მიმართ, თუმცა ლევიძეს მაინც დაუწყვეტია გული მათთვის — ხალხით გაჭედილ, აბობოქრებულ დარბაზში ანგარიშით 11:1 დაუმარცხებია ნორჩი თურქი მოჭიდავე. მაგრამ სპორტი სპორტია...

სამივე ღირსეული ჩემპიონი გახდა, გვითხრეს კიდეც, ჩვენს ქვეყანაში მოგება უფრო ძნელიაო.

აუცილებლად უნდა ითქვას მათს მწვრთნელებზეც, რომლებმაც სხვა მოსწავლეებისაგან გამოარჩიეს ისინი და უყოყმანოდ ჩარიცხეს თავიანთ ჯგუფებში (ოთხივე თითქმის ასე მოხვდა სპორტში). ზაზა ზოზიროვს ნუგზარ ხსიერელი და ირბეკ ჯიოშვილი ამეცადინებდნენ, დავით ხაბელაშვილს — ნოდარ ხალიევი და ვანო ნიკოლაძე, ქუთაისელი მწვრთნელები ავთანდილ გოდუაძე და ნოშრევან ქოიავა ზრუნავენ კახა ლევიძის დასაოსტატებლად, ხოლო ზვიად ლოლუას გოდერძი ლასურიშვილი ასწავლის ჭიდაობას.

ისინი 15-16 წლისანი არიან და ჯერ ყველაფერი წინ აქვთ, ეს პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება კი მათი ერთგვარი სადარბაზო ბარათია სპორტში.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

VII

თვის მონაგარი

# როგორც ქარიშხლის მოლოდინში

(დასასრული)

**რომში** გამართულ თანამედროვე ხუთჭიდელთა დიდ საერთაშორისო ტურნირზე მსოფლიოს ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. 62 მონაწილეს შორის მეორე ადგილი დაიკავა თბილისელმა ვახტანგ იაგორაშვილმა, რომელიც საბჭოთა სპორტსმენებს შორის პირველი იყო

ახლა მოჭიდავეთა მიღწევები გავიხსენოთ.

**ლაიფციგში** გამართული ცნობილი გერმანელი ანტიფაშისტის ვერნერ ზეელენბინდერის მემორიალი მოჭიდავეთა მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ასპარეზობა გახლავთ და იგი პირველ კატეგორიას განეკუთვნება. წლევანდელ შეჯიბრებაში 17 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის კანდიდატებიც გამოდიოდნენ. აქ შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა გურამ გედეხაურმა (100 კგ), რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა.

თბილისელი მერაბ ვალიევი კანადის ქალაქ სენტ-ჯონსში გამართულ ახალგაზრდა (1968-69 წ. წ. დაბადებულნი) თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობდა და ორი წლით უფროს კოლეგებს ერკინებოდა. მიუხედავად ამისა, მან ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. ამ შეჯიბრებაში მსოფლიო თასი მოიგო ჩვენი ქვეყნის ნაკრებმაც. ასე რომ, ვალიევმა ორმაგი გამარჯვება იზეიმა.

ავსტრიის ქალაქ ვოლფერტში თავი მოიყარეს ასევე თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, რომლებიც ჭაბუკთა შორის მსოფლიო პირველობისთვის იბრძოდნენ. აქ ჩვენმა თანამემამულე გიორგი ხინჩიკაშვილმა (63 კგ) ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

თურქეთში, ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე, ბრწყინვალედ იასპარეზეს საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, გორელმა ზაზა ზოზიროვმა (55), ქუთაისელმა კახა ლევიძემ (60), თბილისელებმა დავით ხაბელაშვილმა (70) და ზვიად ლოლუამ. პირველი სამი სპორტსმენი ოქროს მედლით დაგვიბრუნდა, ხოლო ლოლუამ „ვერცხლი" დაისაკუთრა.

ომსკში გამართულ სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა თბილისელმა ჯემალ მჭედლიშვილმა (82).

**უკანასკნელ** თვეებში ფრიად გაგვაოცა თბილისელმა საგზატკეცილო ველომრბოლელმა ვასილ დავიდენკომ, რომელმაც ჯერ ჭაბუკთა საკავშირო სპორტულ თამაშებში მოიპოვა ორი ოქროს მედალი, მერე კი ივლისში, დანიის ქალაქ ოდენსში გამართულ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატშიც იასპარეზა და ჯგუფურ რბოლაში (126 კმ) იტალიელ ჯანლუკა ტაროკისთან ერთად 2:50.0C აჩვენა. ოქროს მედალი იტალიელს გადაეცა, ვერცხლისა — თბილისელ სპორტსმენს.

შეგახსენებთ, ასეთი დიდი წარმატებისთვის, ამ სახეობაში, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს მანამდე არ მიუღწევიათ.

**სოციალისტური** ქვეყნების წყალბურთელთა (1971 წელს დაბადებულნი) საერთაშორისო ტურნირში („დრუჟბა"), რომელიც კიშინოვში გაიმართა, ყველას აჯობა საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში თბილისელები დავით ბურდული და ზვიად დავითიანიც იყვნენ.

მაროკოში, ალბერ ელ გრიშის მემორიალზე — ჭაბუკ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე — წარმატებით გამოვიდა თბილისელი გ. კუპრეიშვილი, რომელმაც წყვილთა თანრიგში მინსკელ ს. სკაუნთან ერთად გაიმარჯვა.

**სტუდენტთა** საკავშირო უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებულ მოფარიკავეთა ასპარეზობას თბილისი მასპინძლობდა. შესანიშნავად იასპარეზა წყალტუბოელმა მერაბ ბაზაძემ, რომელმაც ხმლით ფარიკაობაში გაიმარჯვა. მისი თანაგუნდელი აკაკი მახარაძე მესამე იყო. გაიმარჯვა ჩვენმა ხმლით მოფარიკავეთა გუნდმაც, ხოლო საერთო ჩათვლაში მასპინძლები მესამე ადგილზე გავიდნენ.

ოლიმპიური თამაშებისთვის საბჭოთა ნაკრების დასაკომპლექტებლად მეტად მნიშვნელოვანი ასპარეზობა გახლდათ დინამოელთა ღია საკავშირო პირველობა, რომელშიც ქვეყნის ყველა უძლიერესი „მუშკეტერი" გამოდიოდა. თბილისელმა რაპირისტმა ვლადიმერ აფციაურმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კვლავ იზეიმა გამარჯვება.

**კიევში**, მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატში, კარგად იასპარეზა თბილისელმა სტაიერმა ოლეგ სტრიჟაკოვმა, რომელმაც 10 კილომეტრზე რბენაში (28.27,29) ვერცხლის მედალი მოიპოვა, მაგრამ ოლიმპიურ გუნდში მისი ჩარიცხვის საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია. იმისთვის, რომ სტრიჟაკოვი სეულში გაემგზავროს, ეს დისტანცია 27,29 წამით სწრაფად უნდა გაირბინოს.

**მოსკოვში**, სპორტულ ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ჩემპიონატში, თბილისელმა ვლადიმერ გოგოლაძემ თავისუფალ ვარჯიშში ვერცხლის, ხოლო რგოლებზე ასპარეზობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და ოლიმპიურ ნაკრებში ჩაირიცხა.

**თბილისელმა** სინქრონული ცურვის ოსტატმა ნინო მაისურაძემ ჰოლანდიაში გამართულ ევროპის პირველობაზე, რომელიც ახალგაზრდებს შორის ჩატარდა, ჯგუფურ ასპარეზობაში ოქროს მედალი მოიპოვა.

**მიმდინარე** ჭაბუკთა საკავშირო სპორტულ თამაშებზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 12 ოქროს, 16 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს (ამ ნადავლში სპორტის ტექნიკურ სახეობებში მოპოვებული მედლებიცაა მითვლილი).

**ივლისში** იყო სხვა წარმატებებიც, მათ შორის სახალხო განათლების სისტემის სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო შეჯიბრებებშიც, სადაც ჩვენმა ნორჩმა სპორტსმენებმა მთელ რიგ სახეობებში საკმაო რაოდენობის მედლები მოიპოვეს, მაგრამ ამ და სხვა წარმატებათა გახსენება შორს წაგვიყვანს.

იმედია, წარმატებათა სერია კვლავ გაგრძელდება.

სსრ კავშირის ჩემპიონატი სამბოში

## ახალი ჩემპიონები



**ომსკის** სპორტულ-საკონცერტო კომპლექსი „ირტიში" ოთხი დღის მანძილზე მასპინძლობდა სამბისტთა 41-ე საკავშირო ჩემპიონატს. შარშანდელ პირველობასთან შედარებით წლეულს ბევრი ახალი გვარი გამოჩნდა და მათ შორის ღირსეულებმა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლებიც დაიმსახურეს. ეს პირველ რიგში ითქმის ბაქოელ დ. მამედოვზე (48 კგ), ლენინაკანელ გ. ტუტხალიანზე (52 კგ) და კიროვაკანელ გ. კაზარიანზე (62 კგ), რომლებსაც დრე ამ რანგის ტურნირი არასდროს მოუგიათ.

შვიდ წონით კატეგორიაში ჩემპიონთა ცვლა მოხდა, სამმა სამბისტმა კი შარშანდელი წარმატება გაიმეორა. ესენი არიან კარგად ცნობილი და გამოცდილი ოსტატები, ლენინგრადელი ა. ნოვიკოვი (57 კგ), მაიკოპელი ვ. გურინი (100 კგ) და მოსკოველი ვ. შკალოვი (მძიმე).

საქართველოს მოჭიდავეები ბოლო წლების საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორთა სიაში ერთობ ხალვათად არიან წარმოდგენილი. მაგრამ 1986 წელს ორი პრიზიორი მაინც გვყავდა (პ. ბუზარიაშვილი — 82 კგ-ში ჩემპიონი და მ. ბერუაშვილი — მძიმე წონაში ბრინჯაოს პრიზიორი). ერთი წლის შემდეგ პირველი ადგილი ჰქონდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს ჯ. მჭედლიშვილს, წლეულს კი მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედლით დავკმაყოფილდით (82 კგ წონაში ეს ჯილდო ჯ. მჭედლიშვილმა მოიპოვა).

41-ე საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორები:

**48 კგ.** 1. დ. მამედოვი (ბაქო), 2. ა. შაიხიევი (ურალსკი), 3. ა. ულიანინი (ბუზულუკი) და ი. აგაევი (ლენინგრადი).

**52 კგ.** 1. გ. ტუტხალიანი (ლენინაკანი), 2. ს. მერეტუკოვი (მაიკოპი), 3. ა. მახმუტოვი (ჯამბული) და მ. ტიმირბულატოვი (პავლოდარი).

**57 კგ.** 1. ა. ნოვიკოვი (ლენინგრადი), 2. ი. გაბდულხაკოვი (ჩაიკოვსკი), 3. ნ. ბაგიროვი (მინსკი) და ე. საუშკინი (ნოვოკუზნეცკი).

**62 კგ.** 1. გ. კაზარიანი (კიროვაკანი), 2. კ. ნურალიევი (კალინინი), 3. ი. ალიოხინი (კუიბიშევი) და ა. აქსიონოვი (ვლადივოსტოკი).

**68 კგ.** 1. ე. ესინი (კსტოვო), 2. ო. ლავრენტიევი (კურგანი), 3. ვ. იაპრინცევი (მინსკი) და ა. მალცევი (სმოლენსკი).

**74 კგ.** 1. ვ. შვაია (კრასნოკამსკი), 2. ნ. იგრუშკინი (კსტოვო), 3. უ. მარაევი (მოსკოვი) და ვ. ჟდანოვი (სიმფეროპოლი).

**82 კგ.** 1. გ. ხაიბულაევი (კრასნოდარი), 2. ნ. ბარანოვი (კსტოვო), 3. ვ. ბუხვალი (მინსკი) და ჯ. მჭედლიშვილი (თბილისი).

**90 კგ.** 1. ტ. აბდულაევი (ლენინგრადი), 2. ხ. ხაპაი (მაიკოპი), 3. ო. მერზეკანოვი (მაიკოპი) და ს. კამიშევი (ანდროპოვი).

**100 კგ.** 1. ვ. გურინი (მაიკოპი), 2. ვ. როციავიჩუსი (კლაიპედა), 3. ნ. ქიხარიოვი (მოსკოვი) და ე. გრამსი (მინსკი).

**მძიმე.** 1. ვ. შკალოვი (მოსკოვი), 2. ვ. რატოვი (მოსკოვი), 3. ი. მეტლიცკი (მინსკი) და ს. ბელინსკი (ბარნაული).

წელიწადი - ქართველი

**ბონი.** ჰესენის მიწაზე გრძელდება გფრ-ის მრავალდღიანი ველორბოლა. მესამე ეტაპი, რომლის სიგრძე 141 კილომეტრი იყო, ყველაზე სწრაფად პიოტრ უგრიუმოვმა გაიარა — 3:46.00, კიეველმა ვლადიმერ პულნიკოვმა კი მეცხრე შედეგი აჩვენა. სამი ეტაპის შემდეგ ლიდერობას კუიბიშეველი პაველ ტონკოვი ინარჩუნებს — 12:19.44.

**მადრიდი.** ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის სასტარტო შეხვედრა საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის გუნდებს შორის ფრედ — 15:15 დამთავრდა. ტურნირის მასპინძლებმა კი ისლანდიელებს აჯობეს — 23:19.

**იოენსუ** (ფინეთი). ევროპის იუნიორთა ჩემპიონატზე სროლაში პირველი დღის შემდეგ საბჭოთა სპორტსმენები დაწინაურდნენ: მიხეილ ნესტრუევმა ოქროს მედალი მოიგო ნებისმიერი პისტოლეტით სროლაში — 561 ქულა, „გაქცეულ ტახზე" სროლაში კი ყველას ანატოლი ასარბაევმა აჯობა — 296 ქულა.

**ვარშავა.** თანამედროვე ხუთჭიდში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე დღეს მოფარიკავეთა შეჯიბრება გაიმართა. ორი დღის შემდეგ გათამაშებას ლიდერობს პოლონელი დოროტა იძი — 2110 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: ირინა კისელიოვა (სსრ კავშირი) — 2082 ქულა და სოფი მორესე (საფრანგეთი) — 2070 ქულა.

**ტულა.** ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლები ველოსიპედებით სალიდერო რბოლაში მოსკოველებმა, მსოფლიო რეკორდსმენმა ალექსანდრე რომანოვმა და ალექსანდრე შოპინმა მოიპოვეს. მათ 50 კმ. ადგილობრივ ტრეკზე 46.02-ში დაფარეს.



რეგბისტთა მსოფლიო უნივერსიადის წინ

# ჩვენი შვიდეული პერპინიანს მიემგზავრება

**რეგბის** საერთაშორისო საბჭოს (ირბ) არსებობის პირველი ასი წლის მანძილზე მისი ხელმძღვანელები ეჭვის თვალით უყურებდნენ ისეთი ტურნირის მოწყობის მიზანშეწონილებას, მსოფიოს სხვადასხვა ქვეყნის მოყვარულ რეგბისტებს ერთად რომ მოუყრიდა თავს და უშუალო შეჯიბრებაში გამოავლენდა უძლიერესს. შემდეგ ვითარება ნელნელა შეიცვალა, რაც, პირველ ყოვლისა, საფრანგეთის რეგბის ფედერაციის ღვაწლმოსილი პრეზიდენტის, სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ აჟანის მკვიდრის, მუსიკალური კაფეს მეპატრონის, ირბ-ის ამჟამინდელი თავმჯდომარის ალბერ ფერასის დამსახურებაა. შარშან ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში 16 გუნდის მონაწილეობით მოეწყო მოყვარულ რეგბისტთა მსოფლიო თასის პირველი გათამაშება, რაც მთელ მსოფლიოში რეგბის გავრცელების სტიმულადაც იქცა და რამაც საბოლოოდ გააქარწყლა ირბ-ის ხელმძღვანელობის შიში, რომ წარმომადგენლობითი და ხანგრძლივი შეჯიბრების მოწყობა, თამაშის კომერციალიზაციასთან ერთად, რეგბის უეჭველად პროფესიულ სპორტად აქცევდა. მოკლედ, იმდენად აშკარა იყო მსოფლიო თასის წარმატება, რომ იგი ამიერიდან სისტემატურად, ოთხ წელიწადში ერთხელ, გათამაშდება. მაგრამ შარშანდელი შეჯიბრებით მარტო ამ კარგ ტრადიციას როდი დაედო სათავე: ფრიად მიმზიდველი აღმოჩნდა აზრი, მსგავსი შეჯიბრება მოეწყოთ სტუდენტი რეგბისტებისთვისაც, რომელბიც, სხვათა შორის, ეროვნული ნაკრები გუნდების მოთამაშეთა მეტ წილს თუ არა, ნახევარს მაინც შეადგენენ. და აი, ამ დღეებში, 8-30 აგვისტოს, საფრანგეთი უმასპინძლებს სტუდენტ რეგბისტთა მსოფლიო თასის პირველ გათამაშებას, ხანდახან რეგბის უნივერსიადად რომ იხსენიებენ.

თბილისში, „ელმავლისა" და ტირასპოლის გუნდის მატჩის დამთავრების შემდეგ, „ლელოს" რეგბის მიმომხილველი შეხვდა საბჭოთა კავშირის სტუდენტური ნაკრების უფროს მწვრთნელს, საკავშირო სპორტსახკომის რეგბის განყოფილების თანამშრომელს ედუარდ კობოზევს და სთხოვა ემბნა უნივერსიადის შესახებ.

— ეს ახალი შეჯიბრებაც საფრანგეთის რეგბის ფედერაციის თაოსნობით ეწყობა, — თქვა კობოზევმა .— მეტიც, მასპინძლებმა, მგზავრობის გარდა, ყველა სხვა ხარჯი იკისრეს. ჩვენმა ფედერაციამ ოფიციალური მიწვევა ხუთიოდე თვის წინ მიიღო, როცა მასპინძლებმა იაპონელებზე ძლიერებად შეგვრაცხეს და მონაწილეთა შორის ჩაგვრიცხეს. თავდაპირველად შეჯიბრებაში 12 გუნდის მონაწილეობა ივარაუდებოდა, მაგრამ ავსტრალიისა და ირლანდიის რეგბის კავშირებმა სიტყვა გატეხეს და ორგანიზატორები 10 მონაწილის ანაბარა დატოვეს. ეს ათი გუნდი პირველ ეტაპზე ორ ქვეჯგუფადაა დაყოფილი. ერთში მოხდვნენ ახალი ზელანდიის, შოტლანდიის, ინგლისის, იტალიისა და საბჭოთა კავშირის გუნდები, მეორეში — უელსის, საფრანგეთის, არგენტინის, ფიჯისა და რუმინეთის ნაკრებები. როგორც ხედავთ, უნივესიადაზე მსოფლიო რეგბის თითქმის მთელი ელიტაა წარმოდგენილი. არც ისაა დასამალი, რომ საბჭოთა რეგბისტებს ასეთ წარმომადგენლობით და ძლიერ შეჯიბრებაში ჯერ არ გვიასპარეზია. ალბათ დამეთანხმებით, ჩვენი გუნდის მიერ სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციის ჩემპიონატებში მრავალგზის დაკავებული საპრიზო ადგილები უნივერსიადის მონაწილეთა ჩამოთვლის ფონზეც კი უფასურდება, იმდენად დიდია სხვაობა ამ ორი შეჯიბრების საერთო დონეთა შორის. ასე რომ, შარშან მსოფლიო თასის პირველი გათამაშების უარმყოფელებს, წელს ძნელი გამოცდა და იმავდროულად კარგი სკოლა მოგველის.

შეჯიბრება ქვეჯგუფებში წრიული სისტემით მოეწყობა. ჩვენ სამხრეთ საფრანგეთში, ხმელთაშუაზღვისპირა ქალაქ პერპინიანში ვიასპარეზებთ. ქვეჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები მეორე ეტაპზე „ჯვარედინი" სისტემით საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ. ამავე ხერხით ხელმოცარული გუნდები დანარჩენ ადგილებს გაითამაშებენ. ამიტომ ყველა მატჩიც რომ წავაგოთ, შინ სექტემბრამდე მაინც ვერ დავბრუნდებით.

ნაკრებს მე და პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებაში რეგბის კურატორი — ბოდრუხინი ვხელმძღვანელობთ. გუნდში, მონინოს, ალმა-ათისა და ტაშკენტის არმიელთა კოლექტივებისა და კიევის „ავიატორის" გარდა, უმაღლესი ლიგის ყველა კლუბის წარმომადგენლები არიან, ორი ჭაბუკი რეგბისტი კი პირველი ლიგის გუნდიდან — თბილისის „შევარდენიდანაა". ნაკრებში ყველაზე მეტი წარმომადგენელი — ოთხი — თბილისის „ელმავალს" ჰყავს, და უთუოდ მეტიც ეყოლებოდა, კიდევ ოთხი რეგბისტი ჯარში რომ არ გაეწვიათ. გუნდში რკინიგზელთა სიმრავლეს იმით ვხსნი, რომ ყველაზე მეტად სწორედ თბილისელთა სათამაშო სტილი მომწონს — შემტევი, ტექნიკური, კომბინაციური. წელს მოსკოვსა და მონინოში გამართულ ოთხ მატჩში „ელმავალმა" რეგბის მოსკოველ სპეციალისტებს სწორედ ასეთი თამაში გვიჩვენა და საყოველთაო მოწონებაც დაიმსახურა.

დასასრულ, გაგაცნობთ ნაკრების სრულ შემადგენლობას. მცველი — ნუგზარ ძაგნიძე (ქუთაისის „მშენებელი"); სამმეოთხედელები: ალეკო ხვედელიძე („ელმავალი"), ანდრეევი (ლენინგრადი), ვინოხოდოვი („ლოკომოტივი"), გიორგი ღვინიაშვილი („შევარდენი"), კოროლიხინი („ფილი"); ნახევარმცველები: ნიკოლაევი (ეტს), პროკლოვი („ლოკომოტივი"), შალვა ჯანელიძე („შევარდენი"); მორკინალები: სამარდინი, მოლჩანოვი (ორივე — „სლავა"), ზაზა ბაკურაძე („ელმავალი"), კირპა („ფილი"); თამაზ ხუადე („ელმავალი"), სერგეევი („ფილი")), საპეგა (ტირასპოლი); სოკოლოვი („სლავა"), გია გუნაშვილი („ელმავალი"), შარკოვი („ლოკომოტივი").

ესაუბრა **ზაზა ფხაკაძე.**

## ეკრანზე და ეთერში...

**ცენტრალური ტელევიზია. 6 აგვისტო.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში (გადაცემა „კრილატსკოეს" სანიჩბოსნო არხიდან) —**21.15.**

**საქართველოს რადიო.** სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში (პირველი ლიგა) — **21.30.**

IX

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 05486